საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

განკარგულება

2022 წელი 18 აპრილი №13

თბილისი

„კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2020 წლის 7 აპრილის N7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. „კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2020 წლის 7 აპრილის N7 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლის:

1. მე-9 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) თითოეული სესხის ვადად განისაზღვროს ერთი თვე მისი განახლების უფლებით, ხოლო სესხით სარგებლობის პერიოდად განისაზღვროს 2020 წლის 1 მაისიდან 2022 წლის 1 მაისამდე. 2022 წლის 1 მაისიდან თითოეული სესხის ვადად განისაზღვროს 7 დღე. სესხის თანხის გაზრდა ან შემცირება ბანკს შეუძლია სესხის გადაგორებისას. აღნიშნული სესხით სარგებლობა შესაძლებელია სანამ ეროვნული ბანკის საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მისი შეწყვეტის შესახებ.

დ) სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ფორმულით R = T-L+O+D, სადაც T არის ერთთვიანი TIBR1M საპროცენტო განაკვეთი, L არის ბლუმბერგის სისტემაში გამოქვეყნებული აშშ დოლარის ერთთვიანი LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთი, O არის ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის სპრედი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან, ხოლო D არის ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის დეპოზიტზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი. ამ პარამეტრების

დადგენა მოხდეს კომერციული ბანკის მიერ სესხის განაცხადის ეროვნულ ბანკში წარდგენის დღის მდგომარეობით არსებული მონაცემების საფუძველზე. 2022 წლის 1 მაისიდან T არის ერთდღიანი TIBR საპროცენტო განაკვეთი, L არის ბლუმბერგის სისტემაში გამოქვეყნებული აშშ დოლარის ერთდღიანი SOFR-ის საპროცენტო განაკვეთი.".

2. მე-10 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „მ" ქვეპუნქტი:

„მ) იმ შემთხვევაში, თუ ამ განკარგულების შესაბამისად განსაზღვრული სასესხო აქტივები, რომელიც კომერციული ბანკის მიერ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის სასარგებლოდ გირავნობით იყო დატვირთული, შემდგომ პერიოდში გადავა სხვა კომერციული ბანკის საკუთრებაში, ასეთი სასესხო აქტივები დაემატოს ახალი მესაკუთრის ამ განკარგულებით განსაზღვრულ და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ გირაოს ბაზას.".

მუხლი 2. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე